დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ წესსა და პირობებს.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელი პირობები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №245 დადგენილების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116 დადგენილების შესაბამისად, წინამდებარე დებულებით.
3. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე მედიცინის დარგში აკადემიისა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, მაღალი ხარისხის მკვლევრისა და აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების მომზადება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) დოქტორანტურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;
ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;
გ) დოქტორანტი – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;
დ) დოქტორი - მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება;
ე) სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისია - მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისა და ადმინისტრირების მიზნით, თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭო ქმნის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედ კომისიას და ამტკიცებს მის დებულებას.

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს:
ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დიპლომირებულ მედიკოსს/დიპლომირებულ სტომატოლოგს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს;
ბ) ბიოლოგიის მაგისტრს - თსუ მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე უფლება ეძლევა ჩააბაროს ბიოლოგიის მაგისტრს, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულია ბიო-სამედიცინო პროფილის ფუნდამენტური და/ან ტრანსლაციური კვლევითი თემატიკა.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. დოქტორანტურაში მიღება

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.
2. დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №2).
4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.
5. დოქტორანტობის კანდიდატი **დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად:**
ა) აბარებს უცხო ენის გამოცდას ან/და ადასტურებს უცხო ენის ცოდნას შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე;
ბ) დოქტორანტობის კანდიდატი უცხო ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების ან უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ გადის გასაუბრებას (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) სპეციალობაში, შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით და ფაკულტეტის მიერ დადგენილი გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების

შესაბამისად *(იხ. დანართი №1 - მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები).*

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის პირობები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. მის სასწავლო კომპონენტს ეთმობა არანაკლებ 40 კრედიტისა და არაუმეტეს 60 კრედიტისა. ხოლო კვლევით კომპონენტს - არანაკლებ 120 კრედიტისა.
2. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.
3. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო დოკუმენტაციას წარუდგენენ ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომს დაიცავენ უნივერსიტეტში დადგენილი წესით.
4. დოქტორანტს აქვს უფლება შიდა მობილობის წესით შეიცვალოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 6. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ა) სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი კლასიფიკატორით დადგენილ დეტალურ სფეროში, კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში;

ბ) სამეცნიერო ხელმძღვანელი (ან თანახელმძღვანელი - ერთობლივი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში) შეიძლება იყოს თსუ პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან თსუ აფილირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.
7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის დაზუსტებულ სათაურს

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო - დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.
8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურის ცვლილება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 7. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №3). სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია დისერტაციის, ასევე სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით.
2. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:
ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი, სავალდებულო);
ბ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო);
გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო);
(წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება 2018-2019 წლამდე აკრედიტებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო იქნება მათი რეაკრედიტაციის, ასევე პროგრამის სასწავლო კომპონენტის ცვლილებების შემთხვევაში);
დ) აკადემიური წერა ბიომედიცინაში (5 კრედიტი, სავალდებულო);
ე) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (5 კრედიტი, სავალდებულო);
ვ) სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 კრედიტი, სავალდებულო);
ზ) სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის (5 კრედიტი, არჩევითი);
თ) კლინიკური კვლევის დიზაინი (10 კრედიტი, არჩევითი);
ი) მეცნიერების მენეჯმენტი (5 კრედიტი, არჩევითი);
კ) გლობალური ჯანდაცვა (5 კრედიტი, არჩევითი).
3. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ის ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში ამ სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო შესრულდა ანაზღაურების გარეშე.
4. დოქტორანტისათვის კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა 2 კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) და სადისერტაციო ნაშრომი.

5. შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

მუხლი 8. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს დოქტორანტის სამეცნიერო-კლინიკური, თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ხასიათდებოდეს მეცნიერული სიახლით, ქმნიდეს ახალ ცოდნას და წვლილი შეჰქონდეს მედიცინის დარგის განვითარებაში.
3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (ავტორეფერატი) 20 – 40 გვერდის მოცულობით, წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).
4. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს.
5. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წარდგენით.
6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
7. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის შესაბამისად (იხ. დანართი №2).

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) 4 ბეჭდურ და 5 ელექტრონულ ვერსიას.
2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №6);

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №7);

გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული ავტორეფერატი - ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული);

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №8);

ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი

კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;
ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.

მუხლი 10. საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.
2. ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში - დოქტორანტის პირველი ავტორობით, ამასთანავე:
ა) Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალს Scimago Lab–ის (scimagosjr) მიერ მინიჭებული უნდა ჰქონდეს Q1 ან Q2 კატეგორია (Quartile);
ბ) Web of Science-ის ბაზის ჟურნალში გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად მიღებული) სტატიის შემთხვევაში, ჟურნალს უნდა ქონდეს მინიჭებული Clarivate Analitics-ის იმპაქტ-ფაქტორი.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. ფაკულტეტის საბჭო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წარდგენით სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომელთაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.
2. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ კლასიფიკატორით დადგენილ დეტალურ სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
3. რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს.
4. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №9). რეცენზენტის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ.
5. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება და მუშაობის წესი განისაზღვრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 13. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
4. იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 14. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა”-„ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.

მუხლი 15. ხარისხის მინიჭება და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას განიხილავს მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში.
4. დიპლომს ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის დეკანი.
5. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.

მუხლი 16. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. ფაკულტეტის საბჭო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წარდგენით დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, რომელიც დეკანის მიერ გადაეგზავნება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად.
2. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისაგან ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის

შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების/დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან შესაბამისი ფაკულტეტის მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისგან. როგორც წესი, შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით.

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;
ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;
დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ერთი წევრი მაინც ესწრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს აწვდის ინფორმაციას დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობის წესი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საქმიანობა წარიმართება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას:

ა) აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს;
ბ) ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
გ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმის წარმოებას;
დ) უზრუნველყოფს დაცვის კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის მიწოდებას ფაკულტეტისათვის.

მუხლი 20. გარდამავალი დებულებები

1. ფაკულტეტზე მოქმედ აკრედიტებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება მათი რეაკრედიტაციის, ასევე პროგრამის სასწავლო კომპონენტის ცვლილებების შემთხვევაში.
2. მოქმედი პროგრამების შემთხვევაში მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვალოს თუ დოქტორანტის მიერ ჩაბარებულია პროგრამით გათვალისწინებული 2 კოლოქვიუმი.
3. 2021-2022 სასწავლო წლიდან შეეზღუდოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალს, რომელიც ხელმძღვანელობს აქტიური სტატუსის მქონე 7-ზე მეტ დოქტორანტს.

დანართი №1

მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები (დოქტორანტურაში მიღებისას წარმოებული გასაუბრების დროს):

1. **სამეცნიერო კვლევის თემატიკის ხედვა**

ა. კარგად ესმის საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები
ბ. კარგად ესმის თემის კვლევის მეთოდიკა და მეთოდები
გ. კარგად განსაზღვრავს კვლევის მოსალოდნელი შედეგების ღირებულებას

2. **გამოცდილება**

ა. აქვს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება საკვლევი თემის სფეროში
ბ. აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საკვლევი თემის სფეროში

3. **ზოგადი უნარები**

ა. სამეცნიერო / აკადემიური ხასიათის მოხსენები
ბ. სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციები
გ. კვლევაში მონაწილეობის გამოცდილება

თითოეული პუნქტი ფასედება სამბალიანი სკალით (1- არადამაკმაყოფილებელი, 2 საშუალო 3. კარგი.) ქულების დაჯამების შედეგად განისაზღვრება შესაბამის პროექტზე მისაღები დოქტორანტობის კანდიდატი, სადაც მაქსიმალურ ქულას წარმოადგენს 24 ქულა, ხოლო მინიმალურს 8 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები	**შეფასება (1-3)**	**ქულა**
სამეცნიერო კვლევის ხედვა		
ა. კარგად ესმის საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები		
ბ. კარგად ესმის თემის კვლევის მეთოდიკა და მეთოდები		
გ. კარგად განსაზღვრავს კვლევის მოსალოდნელი შედეგების ღირებულებას		
გამოცდილება		
ა. აქვს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება საკვლევი თემის სფეროში		
ბ. აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საკვლევი თემის სფეროში		
ზოგადი უნარები		
ა. სამეცნიერო / აკადემიური ხასიათის მოხსენები		
ბ. სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციები		
გ. კვლევაში მონაწილეობის გამოცდილება		
ჯამური შეფასება ქულების საშუალებით		

დანართი №2

თსუ მედიცინის ფაკულტეტი
სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია

(დამტკიცებულია თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს #5 სხდომის მიერ - 2019 წლის 14 ივნისს)

<u>მოცულობა და ფორმატი:</u>
სადისერტაციო ნაშრომის სრული მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 გვერდს. ფურცლის ზომა A/4; გვერდის საზღვრები: მარჯვენა ველი - 1,5 სმ., მარცხენა ველი - 3 სმ., ზედა ველი - 2 სმ., ქვედა ველი - 2 სმ. ქვედა ველში, მარჯვნივ, უნდა ფიქსირდებოდეს გვერდის ნომერი. ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5.
ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12; სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება სილფაენის (Sylfaen) შრიფტი.
ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც წყაროები დალაგებულია ალფაბეტის დაცვით და ჩამოთვლილი სტილებიდან ერთ-ერთის გამოყენებით
APA ან Chikago / Chikago manual of style 17th edition (Author – date).

თემაზე მუშაობისას და სადისერტაციო ნაშრომის გაფორმებისას გაითვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი სტრუქტურა:
1. <u>საწყისი ნაწილი</u> - ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით:
1.1. თავფურცელი (მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულტეტის სახელწოდება; სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური; ტექსტი „მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია“; სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი).
1.2. აბსტრაქტი (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი. თითოეული აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).
1.3. სარჩევი (აღინიშნოს სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად).
1.4. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალში მიეთითოს - სათაური, ნომერი და გვერდი).
1.5. აბრევიატურების ჩამონათვალი (აბრევიატურების სრული ჩამონათვალი და შესაბამისი განმარტებები).
<u>2. ძირითადი ნაწილი:</u> ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრები.
2.1. შესავალი (აღიწერება - საკვლევი პრობლემის აქტუალურობა; კვლევის ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები; კვლევის მიზანი და ამოცანები; წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა და/ან სიახლე; დასაცავად გამოტანილი დებულება (დებულებები));

2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (გამოქვეყნებული სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სხვა სახის მასალები; წყაროების მითითებისას თსუ-ში ფაკულტეტების მიერ დამტკიცებული აკადემიური სტილის (APA/Chicago) ყველა შესაბამისი ნორმა უნდა იყოს დაცული).

2.3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკა, მეთოდები (კვლევის ყველა გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს მითითებული და მათი გამოყენება დასაბუთდეს ეფექტურობის თვალსაზრისით, დეტალურად და თანმიმდევრულად აღიწეროს კვლევის პროცედურები), კვლევის ეთიკის საკითხები.

2.4. კვლევის შედეგები (შედეგების წარდგენა სისტემური და ლოგიკური უნდა იყოს) და მათი ანალიზი.

2.5. დასკვნები (უნდა მოიცავდეს კვლევის ყველა ძირითადი შედეგის შეჯამებას) და რეკომენდაციები (უნდა ასახავდეს კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის მიზანშეწონილობას/მნიშვნელობას და/ან საკვლევი საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების პერსპექტივებს).

3. დასკვნითი ნაწილი:

3.1. ბიბლიოგრაფია (ყველა გამოყენებული წყარო - ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები - მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით).

3.2. დანართები (მასალა, რომლის სრული მითითება ძირითად ნაწილში არ არის მიზანშეწონილი).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

1. საწყისი ნაწილი

თავფურცელი

- აბსტრაქტი
- სარჩევი
- ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი
- შემოკლებები - აბრევიატურების ჩამონათვალი

2. ძირითადი ნაწილი:

- I შესავალი - კვლევითი თემის აქტუალობა;
- II ლიტერატურის მიმოხილვა - სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
- III კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკები და მეთოდები
- IV კვლევის ეთიკის საკითხები
- IV კვლევის შედეგები და მათი ანალიზი
- VI დასკვნები და რეკომენდაციები

3. დასკვნითი ნაწილი:

- VII გამოყენებული ლიტერქტურა - ბიბლიოგრაფია
- VIII გამოქვეყნებული ნაშრომების სია
- IX მოხსენებები ნაშრომის თემაზე
- X დანართები